27/04/2021

ვნების შვიდეულის მსახურებათა განრიგი სამების საპატრიარქო ტაძარში

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ვნების შვიდეულის მსახურების განრიგს აქვეყნებს:

■ ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს შესრულდება პირველშეწირულის ლიტურგიები; პირველშეწირულის ლიტურგიებამდე, ჟამნის დროს, წაიკითხება წმინდა ოთხთავი – ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს. ეს მსახურებები დაიწყება 8:00 საათზე.

■ სამშაბათს, საღამოს, 16:00 საათზე, შესრულდება ზეთის კურთხევა – 7-ჯერ ზეთისცხება.

■ ხუთშაბათს, დილით, 10:00 საათზე, შესრულდება საღმრთო ლიტურგია – საიდუმლო სერობის გახსენება, ხოლო საღამოს, 17:00 საათზე წაკითხული იქნება მაცხოვრის ვნების 12 სახარება.

■ პარასკევს, დილით, 9:00 საათზე, წაკითხული იქნება სამეუფეო ჟამნი, ხოლო 14:00 საათზე შესრულდება წმინდა გარდამოხსნის გამოსვენება და დატირება.

პარასკევს საღამოს მსახურება არ გვაქვს, არ უჩენს.

■ შაბათს, დილით, 6:00 საათზე, ტრადიციულად, შესრულდება წესის აგება და გარდამოხსნის გარშემოტარება, ხოლო 9:00 საათზე შესრულდება წმინდა ბასილი დიდის საღმრთო ლიტურგია. საღამოს, 9:00 საათზე, წაკითხული იქნება შუაღამიანის

ჟამნი და გარდამოხსნა შესვენდება საკურთხველში.
■ 23:00 საათზე ტაძარში მობრძანდება მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, წაკითხული იქნება სააღდგომო ეპისტოლე და 24:00 საათზე დაიწყება ლიტანიობა, რომელსაც მიებმის საზეიმო ცისკარი ბრწყინვალე აღდგომისა და საღმრთო ლიტურგია.

dogma.ge